№ 52 **სახალხო გაზეთი** № 52

პარასკევი, 9 ივლისი, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწადი პირველი

☛ სვით მხოლოდ ნაღუდი წყალი ☚

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის
ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო
სახალხო გაზეთი
ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული
სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური ◆——

——◆ **დამატებით ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.**

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოეჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

* * * * **ხელის-მომწერთა საყურადღებოდ** * * * *

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევს 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

ოლგა სვიმონის ასული მჭედლიშვილისა, ტატე და გარასიმე სვიმონის ძენი ქიქოძენი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 10 ივლისს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში გარდახდილი იქნება პანაშვიდი უეცრად გარდაცვალებულის საყვარელ ძმის

პლატონ სვიმონის ძე ქიქოძის

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი დაიწყება დილის 12 საათზე.

(1—1064—1)

მღვდელი **იაკობ ევთიმეს ძე ჯანელიძე** აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს 10 ამა ივლისს კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოს ეკკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარის მეუღლის

ნინო დიმიტრის ასულის ჯანელიძის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის ცხრა საათზე.

(1—443—1)

გიორგი მიხეილის ძე და ეკატერინე დავითის ასული შვილებით და ივანე მიხეილის ძე გომელაურები აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ხვალ, შაბათს 10 ივლისს დილის 11 საათზე კუკიის წმ. ნინოს ეკკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი პირველ ორი შვილების, მეორენი ძმების, და მესამე ძმის წულების ტფილისის პირველ გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფის

ილიკოს

სულის მოსახსენებლად—წლის წირვა და პანაშვიდი, ხოლო ოდესის უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტის განსვენებულ

მიხეილის (მიშას)

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი. (1—346—1)

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი
შაბათს, 10 ივლისს, ქართ. დრამატიულ დასის არტისტების მიერ **ვ. აბაშიძის** მონაწილეობით გაიმართება
● სახალხო წარმოდგენა ●
წარმოდგენილი იქნება
● პეპო ●
დრ. 3 მოქ. გ. სუნდუკიანცისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ. ქ. გამყრელიძისა, ნებიერიძე, ვიქტორელი, ბ. ბ. ვ. აბაშიძე, ი. ივანიძე, საფაროვი, იორდანიშვილი, მატარაძე.
ადგილების ფასები—5 კ. 50 კაპ.
რეჟისორი **ვ. აბაშიძე.** ● დასაწყისი $8^{1/2}$ საათზე. ● ადმინისტრატორი **საფაროვი.**

ტფილისის კერძო სამკურნალო
30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელ. [illegible] ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

გორბოვსკი-ზარანეკი ე. ვ. თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი, ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და [illegible] 1—2 ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

პაპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

სობოლევსკი გ. ვ. ქირურ., ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—ნ.—222)

კნეინა ანასტასია ალექსანდრეს ასული, კნეინა ელენე კოსტანტინეს ასული, თავადნი ნიკოლოზ და იოსებ ალექსანდრეს ძე ბარათაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და მეგობართ გარდაცვალებას,—პირველი—შვილისას, მეორე მაზლისას, მესამენი საყვარელი ძმის

თავ. ვლადიმერ (იგივე ლადო) ალექსანდრეს ძე

ბარათაშვილისას

გასვენება მიცვალებულისა დღეს, პარასკევს, 9 ივლისს, დილის 11 საათზე იოსებ ბარათაშვილის სახლიდან (კიროჩნის ქუჩა, № 16) სოფ. ბორბალოში, ტფილისის მაზრა. წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება სასახლის ეკკლესიაში, დაკრძალვა იმავე ეკკლესიის ეზოში. (1—345—1)

დასურათებული ასაწყობი ანბანი კუბიკებზე
(„ნაკადულის“ პრემია).
შემუშავებულია ცალკე კომისიის მიერ პედაგოგებისაგან, მოკლე ხანში დამზადდება და დაურიგდება პრემიად „ნაკადულის“ წლიურ ხელის-მომწერთ. რადგანაც ამგვარი ანბანის მოთხოვნილება ქართულ ოჯახებში დიდია, ამიტომ რედაქციას სურვილი აქვს დახმარება გაუწიოს საზოგადოებას და სთხოვს მსურველთ, არა ხელის-მომწერთ, ეხლავე დაიკვეთონ, რადგანაც რედაქცია გასასყიდად დასურათებულ ანბანს კუბიკებზე ვერ დაამზადებს. დაკვეთა შეიძლება 15 ენკენისთვემდე; ეღირება გაუგზავნელად 1 მანეთი.

სამკურნალო
სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.
ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.

სარაბ—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

ბოგუსკი—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

მონხე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა $1^1/_2$—3 საათ.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

ხუდაბაშევი— ქალებ., ყოველ დღე. 1—2 ს.

ახვლედიანი—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—$12^1/_2$ საათ.

ვესელოვზოროვი ნ. ნ. ქირურგ. ავად. ყოვ. დღ. გარდა კვირა-უქმისა 2—3 საათ.

ხატისოვი ნ. დ.—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.

მიკირტუმოვი დილის $10^1/_2$—$11^1/_2$ ს. ყოველ-დღე.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ. სულ. ელექტროტერაპია. ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 4— 5 საათ.

ფონდოევი—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 2—3 ს.

ი. მ. ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. 1—2 საათამდე.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—ნ.—66)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

ექიმი ე. ვაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—163

ექიმი ქალისა ნინო რცხილაძე
გადავიდა იზმაილოვის ქუჩაზე N 2. იღებს ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—104)

ექიმი ბორჯომში ა. ს. ალადაშვილი
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის ტერაპევტიულ კლინიკისა იღებს შინაგან ავადმყოფობით სნეულებს დილის 9—12 და საღამოს 5—6 ს., ერისტოვის ქუჩა სახლი ზუბალოვისა. 25—ნ.—16

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. $5^1/_2$—$6^1/_2$ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება საღამოს $6^1/_2$—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტრო-ტერაპია, ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (50—ნ.—18)

ექიმი აბასთუმანში ალექსანდრე ალექსანდრეს ძე თუმანიშვილი
იღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფებს. (25—320—14)

ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოხე ქიქოძის სახლი. (0—უ.—222)

შპალიერი
8 კაპეიკიდან 6 მან.-მდე რულონ
ძმ. ტარნოპოლების
საწყობი რუსეთის ყველა დიდ ქალაქშია.
განყოფილება **ტფილისში:** გოლოვინის პრ., № 21, არტისტ. საზოგად. ქვეშ, ტელ. № 355.
ფასები საფაბრიკოა.
ნიმუშები უფასოდ. (50—1046—34)

ზემო ავჭალაში იძლევა აგარაკი
ორი ოთახი თავის სამზარეულოთი. ოთახები მოთავსებულია ზემო სართულში და გარშემო მშვენიერი ბაღი აკრავს. პლატფორმიდან სულ შვიდი წუთის სასიარულოა.
შეიტყვეთ „სახ. გაზ.“ რედაქციაში.

დეპეშები

პეტერბ. (დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 ივლისი.

სპარსეთი

თეირანი. ბესტში ჩამჯდარი სამღვდელოება და ვაჭრები მოითხოვენ ნეჯეფის მუშტეიდების ბრძანების აღსრულებას ტაგი-ზადეს გაძევების შესახებ. დღეს მეჯლისმა გადასწყვიტა შესწყვიტოს სხდომები მკვლელების აღმოჩენამდე. ნაციონალისტები ავრცელებენ ხმას, ვითომ მკვლელობა რუსეთის წაქეზებით მომხდარიყოს, რათა ამით არეულობა გამოეწვიათ და საქმეში რუსის ჯარი ჩარეულა. გაზეთი „სპარსეთის დამოუკიდებლობა“ თავის მეთაურ წერილში ადასტურებს ამ ცილის წამებას. რუსეთის საელჩომ ოფიციალურად მოსთხოვა სპარსეთის მთავრობას გაზეთის მეთაურში გამოთქმულ ცილის წამების უარყოფა და დაბეჯითებით ურჩია მუშტეიდის მკვლელების აღმოჩენა.

თავრიზი. ქალაქში სრული სიმშვიდეა. ქალაქი გაჩირაღდნებულია იმამი ალის დაბადების დღის დღესასწაულის გამო. ბაზარი ღიაა, თეირანში მომხდარ ამბებს არავითარი გავლენა არ მოუხდენია ქალაქზე.

საზღვარ-გარედ.

ლონდონი. სადგურ როსკრეასთან მატარებლები დაეჯახნენ ერთმანეთს. დაიმტვრა მატარებლები. დაშავდა 100 კაცზე მეტი.

ათინა. 6 ივლისს ასმა სათადარიგო ჯარის კაცმა ყაზარმების წინ დემონსტრაცია მოახდინა. ოფიცრებმა წესიერება მალე აღადგინეს.

ლონდონი. 6 ივლისს დეპუტატთა პალატაში სეიმურ კინგი შეეკითხა გრეის, ინგლისის მთავრობა კვლავ უარს ხომ არ ამბობს იმაზე, რომ რუსეთის მთავრობას აზრად აქვს განახორციელოს ინგლისის გემებზე თავისი იურისდიქცია სანაპიროდ სამ მილიონ მანძილის იქით, იცის თუ არა მთავრობამ, რომ ამას წინად რუსეთს აზრადა ჰქონდა სანაპირო მანძილი გაეგრძელებინა 12 მილით სამხრეთისაკენ, სადაც თევზის ჭერა აკრძალულია 12 მილის მანძილზე, ეს მისწრაფება რუსეთისა თუ განხორციელდებოდა, მაშინ კონფისკაცია მოხდებოდა საუკეთესო თევზის საჭერ რაიონისა. რასა ფიქრობს გრეი, წინააღმდეგობას გაუწევს თუ არა რუსეთს თავისი იურისდიქცია გაავრცელოს იმ მანძილის გარედ, რომელიც აღიარებული აქვს საერთაშორისო სამართალს. გრეიმ წერილობითი გასცა პასუხი და განაცხადა, რომ ცნობები არა გვაქვს იმის შესახებ, ვითომ რუსეთს განზრახვა ჰქონდეს თავის იურისდიქცია გაავრცელოს საერთაშორისო სამართლით დადებულ მანძილის გარედ. „ონვარდის“ განთავისუფლება იმის მომასწავებელია, რომ რუსეთის მთავრობას აზრად არა აქვს ზემოხსენებულ მიზნით იურისდიქცია დადებულ მანძილს გარედ გაავრცელოს.

პარიზი. უჯიდან იტყობინებიან, რომ საფრანგეთის ჯარის იერიშის შემდეგ მაროკოელებმა იარაღი დაყარეს და მწუხარება გამოსთქვეს მომხდარ შეტაკების გამო.

პარიზი. პროფესორმა შანტემესმა მოხსენება წარუდგინა სამეცნიერო აკადემიას ხოლერის გაჩენის შესახებ ევროპაში 1904 წლიდან. ჰოლანდიის მიერ ხოლერის წინააღმდეგ მიღებულ ზომებს პროფესორი საუკეთესოდა სთვლის.

რუსეთი

ვოლოგდა. სახალხო სკოლების ინსპექტორთა კრებამ დაადგინა იშუამდგომლოს, რომ ყველა სოფლის სკოლებში სავალდებულო იყოს გიმნასტიკის სწავლება და მოწვეულ იქმნენ დაწყებითი სკოლებში ექიმები ჰიგიენურ ცოდნათა გასავრცელებლად.

კიშინევი. ნიაღვარმა ქალაქის ქუჩები წყლით აავსო. ხიდები ბევრ ადგილას დაანგრია, სეტყვამ მაზრაში 600 დესეტინა ნათესი გააფუჭა, ძლიერ დააზარალა ვენახები.

სემიპალატინსკი. გუბერნატორის თავმჯდომარეობითა და ვოსტორგოვის მონაწილეობით გაიმართა კრება გადმოსახლებულ გლეხთა მდგომარეობის გასაცნობად. კრებამ საჭიროდ სცნო გახსნას გადმოსახლებულთათვის 9 ახალი სამრევლო, ავოს ხუთი მონასტერი და სხვა.

კიევი. ქალაქის გამგეობამ აღძრა შუამდგომლობა, კერძო მოიჯარადრეს ძალით ჩამოერთვას წყლის საყვანი და გადაეცეს ქალაქს, ამასთან იძულებული გახადონ მოიჯარადრე გაიყვანოს წყლის საყვანი იქ, სადაც გაყვანილი არ არის, თუ ეს შუამდგომლობა არ იქნება შეწყნარებული, გამგეობა თხოულობს ნება დართონ ხოლერიიანობისა გამო მცხოვრებთ მოიჯარადრის ხარჯზე მიაწოდონ წყალი.

პსკოვი. სადგურ კუნისთან მატარებლების დაჯახების დროს დაიმტვრა ორი ვაგონი, დაშავდა მემანქანე და კონდუქტორი.

ივანო-ვოზნესენსკი. პოლიციამ აღმოაჩინა ყალბი ფულების საჭრელი ქარხანა, იპოვეს დამზადებული 196 ყალბი ოქროს ხუთმანეთიანი. შეიპყრეს მჭედლები და წაიღეს მანქანა.

ომსკი. რევიზიას უკეთებენ ყაზახთა ოლქის სამმართველოს.

პოლტავა. გრადიჩისა და ზენკოვის მაზრაში სეტყვამ გაანადგურა 1000 დესეტინა ნათესი.

ოდესა. გრადონაჩალნიკმა ნება დართო გაიხსნას ექიმთა საკონსულტაციო ბიურო უბედურ შემთხვევების დროს შრომის უნარის დამკარგველთა და დაშავებულთა შესამოწმებლად.

ეკატერინოსლავი. სადგურში მისვლისას ორთქლმავალი გადასცდა ლიანდაგს, დაშავდა ერთი მგზავრი.

სმოლენსკი. სოფელ ნოვში, ვიაზემის მაზრაში, გრაფ რიბოპიერის მამულში გადაიწვა შენობები, დაიწვა 20 ცხენი, ეკლესია და საეკლესიო კრებულის სადგომი სახლი.

კიშინიოვი. ნიაღვრისა გამო ქუჩაში წყალი ერთ ადლის სიმაღლეზე იდგა. შესწყდა ეტლებისა და ტრამვაის მიმოსვლა. მცხოვრებნი ქილოქადან მიდიან, მაზრაში წყალმა ძნები მოიტაცა. ზარალი დიდია.

ხარბინი. რკინის გზის მთავრობას ხუნხუზებმა წარუდგინეს წერილობითი მოთხოვნილება: დათხოვნილ იქმნას ხეტყის მასალის ქარხნის გამგე, ნება მიეცეთ ხუნხუზებს ჩვეულებისამებრ ტყის მოიჯარადრეთაგან აგროვონ გადასახადი, წინააღმდეგ შემთხვევაში ქარხნების ცეცხლის წაკიდებასა და გამგის მოკვლით იმუქრებიან. ტყეს იცავენ მოსაზღვრე ჯარის-კაცები.

ჰელსინგფორსი. ბეჭვდითი საქმის მთავარმა სამმართველომ სენატის სამოსამართლო დეპარტამენტს წარუდგინა გაზ „ეორგაბლადეტის“ № 77 და №161 „კანზენლიატი“სა, რომელშიაც ხელმწიფის შეურაცყოფა დაინახა.

ნოვოჩერკასკი. სოფელ ბოლშელჩაცკში, უსტმედვედიცის ოლქში, ცეცხლმა გაანადგურა ეკლესია, 71 მოსახლე, სოფლის საამართველო და დიდი ძალი პური. ზარალი 175,000 მანეთს უდრის.

ტვერი. სტარიცის მაზრაში სეტყვამ 2068 დესეტინა ნათესა პური გააფუჭა,

გოროდოკი. (ვიტებსკის გუბერნია) ოთხს სოფელში წულელათი

ავად გახდა 610 კაცი, რომელთაგან გარდაიცვალა 50 კაცი, ვიტებსკიდან გაიგზავნა სასანიტარო რაზმი.

პეტერბურგი კანონთა კრებულში გამოქვეყნებულია უმაღლესად დამტკიცებული მინისტრთა საბჭოს დებულება შავსა და ხმელთა შუა ზღვებში სწრაფ მავალ გემების ყოლის შესახებ.

ხოლერა

პეტერბურგი. ხოლერით ავად გახდა 15, გარდაიცვალა 6, ავად არის 82 კაცი.

ტამბოვის გუბერნია, ბალტიის მაზრა და პოდოლის გუბერნია ხოლერის მხრით საშიშოდ იქმნა გამოცხადებული, აგრეთვე კოსტრომისა, პენზისა და ტულის გუბერნიები, ხოლო ნარინი და კალმიცის ნაწილები ყირგიზთა მინდვრებისა საშიშრად შავი ჭირის მხრით.

საავენტოს ატყობინებენ ხოლერის შესახებ: ხერსონში ავად გახდა 10, მორჩა 8, გარდაიცვალა 5, ხერსონის გუბერნიაში ავად გახდა 368, მორჩა 109, გარდაიცვალა 122; ცარიცინში ავად გახდა 45, გარდაიცვალა 31, გომელში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 1, გომელის მაზრაში ავად გახდა 48, გარდაიცვალა 11, როგაჩევში ავად გახდა 5, გარდაიცვალა 4, ბიხოვის მაზრაში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 2, ჩაუსკის მაზრაში ავად გახდა 1, პერმში გარდაიცვალა 1. ბერდენში ავად გახდა 56, გარდაიცვალა 9, კავკავში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 2, ყარსში ავად გახდა 3, არდაგანში 1, შუიგელში ავად არის 2, ქერჩში ავად გახდა 25, გარდაიცვალა 7, მორჩა 2, ავად არის 99, ნიჟნში ორ დღეში ხოლერით ავად გახდა 10, გარდაიცვალა 3, ავად არის 20, ოთხ მაზრაში გუბერნიის (?) ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1, ავად არის 4, ხარკოვის გუბერნიაში ავად გახდა 57, გარდაიცვალა 28, ავად არის 414, ჩელიაბინსკში სადგურზე ხუთ ივლისს გარდაიცვალა რკინის გზის მუშა; იაროსლავში ავად გახდა 6, გარდაიცვალა 1 კაცი. ბერდიანსკის ერობამ ხოლერის გავრცელებისა გამო დახურა იარმუკა და ღარიბებისთვის გახსნა სასადილოები. აკკერმანში მდინარე დნეპრში ალმოჩნდა ხოლერის ვიბრიონები. სანიტარულმა კომისიამ აკრძალა მდინარეში ბანაობა. სიმბირსკის საგუბერნიო ერობამ ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად გადასდო 60,000 მანეთი, სიმფეროპოლში გუბერნატორმა სამი თვით დააპატიმრა ექიმების შესახებ ყალბ ცნობების გავრცელებისთვის. პოლტავაში ილიის იარმუკის გამართვის გამო დიდი ზომები მიღებული, რომ ხოლერა არ გავრცელდეს. ქალაქი დაიყო ნაწილებად და თვითეულ ნაწილში ცალკე ექიმთა რაზმი მოქმედებს. ქალაქმა პინსკმა შუამდგომლობა აღძრა ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად მიეცეთ ხაზინიდან 1000 მანეთი.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **ხოლერა** 7 ივლისს ტფილისში, პოლიციის ცნობით, ხოლერით 16 კაცი გახდა ავად. ამათგან გარდაიცვალა ოთხი კაცი: მუშაგ კირაკოზის ძე აკოპიანცი, ანასტასია დიკი, ალექსანდრე მუჟეეი და ასკა ახაბალა-ოღლი. დანარჩენი ავადმყოფნი ხოლერიანთა ბარაკში გაგზავნეს. მათი გვარები: მარტიროს ალავერდოვი, ალექსანდრე შადზევსკი, ეკატირინე ბატკანოვი, ივანე დაციდენკო, ოლგა გოროშინი, ივანე ვებრა, ტაისია რიუკოვისა, ნურაბა არუთიანცისა, ბორის კომოევი, ვოციკ კოზმერნაგი, ეგორ სორა და კარპ. დმიტრიევი.

ვ. გადილიას დაპატიმრება. გუშინწინ ადმინისტრაციის განკარგულებით, ტფილისში დააპატიმრეს წიგნის მაღაზიის პატრონი და წიგნის გამომცემელი ვასილ გადილია.

◆ **სასანიტარო დათვალიერება.** გუშინ ქალაქის სანიტარულმა კომისიამ ქალაქის მეათე უბანში სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი დაათვალიერა. ბევრი ადგილი ანტისანიტარულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. შედგენილ იქმნა შესაფერი ოქმები.

◆ **პოლიცმეისტრის განკარგულება**. ტფ. პოლიცმეისტერმა განკარგულება მოახდინა, რათა სავაჭრო დაწესებულებებში უეჭველად იქონიონ სუფთა ჭურჭლით ადუღებული წყალი ზედ წარწერით: „ადუღებული წყალი“.

◆ **უფასო ფურცლები**. გუშინ ქალაქის გამგეობამ 260.000 ცალი ფურცელი შეუკვეთა დასაბეჭდად. ფურცლებში ჩამოთვლილია დარიგებანი ხოლერისგან თავის დაცვის შესახებ და მცხოვრებთ უფასოდ დაურიგდებათ.

◆ **წყალში დამღვრჩალი**. როგორც დუშეთიდან გვატყობინებენ, სოფელ ჩარგლის მახლობლად არაგვში დამღვრჩალა დავით გოგიშვილი.

◆ **ხოლერა ბორჩალოს მაზრაში.** ბორჩალოს მაზრის სოფელ არმაშენში ადგილობრივ ექიმს იასონ ბერიშვილს ხოლერით ავადმყოფნი აღმოუჩენია. უკანასკნელ ათ დღეში ავად გამხდარა სულ რვა კაცი. ამათგან მომკვდარა ხუთი. ჰფიქრობენ, რომ ხოლერის გაჩენის მიზეზი მტკვარია, რომელსაც იქაურები სასმელად ხმარობენ.

◆ **მინდვრის თაგვი**. ახალქალაქის მაზრის რამდენიმე სოფელში მინდვრის თაგვი გაჩენილა. ადგილობრივ გაგზავნილ ინსტრუქტორის ზემმელის გამოკვლევით, თაგვები საშინლად ბლომად მოსდებიან მინდვრებს და მცხოვრებთ დიდს ზარალს აყენებენო. ამას გარდა თაგვების წინააღმდეგ ზომების მიღება ამ ჟამად შეუძლებელია, რადგან ნათესი უკვე დასრულდა და შიგ რომ გაიარონ, სულ დაიქელება.

◆ **მამასახლისის არჩევა.** ამ დღეებში სოფელ შინდისში მოხდა მამასახლისის არჩევანი. ხალხმა მამასახლისად ყოფილ მალალაშვილის მაგიერ აირჩია ადგილობრივი მცხოვრები ვ. თვალიაშვილი.

◆ **მკვდარი კაცის პოვნა**. სოფელ მეღვრეკისში 24 ივნისს, ივანობა დღეს, ერთ ვენახში ნახეს ოთხი დღის მკვდარი კაცი. მოჰკლა ვინმე იგი, ან ვინ არის, ჯერ-ჯერობით არავინ იცის.

◆ **თავდასხმა.** გურიიდან გვატყობინებენ: ორშაბათს, 5 ივლის, ს ბ ხეში ყაჩაღები თავს დაესხნენ ადგილობრივ მცხოვრებს სამსონ ქიქოძეს და სასიკვდილოდ დასჭრეს. მკვლელები ვერ შეიპყრეს.

◆ **ცეცხლი ბაქოში.** დეპეშათა სააგენტოს სიტყვით, ჩააქრეს ცეცხლი შიბაევისა და კავკასიის ამხანაგობის ქარხანაში. ცეცხლს გაუნადგურებია 9 ნავთის ბეღელი. ზარალი 170,000 მანეთს უდრის.

◆ **ხოლერიანთა რიცხვი**. სასანიტარო ინსპექტორის ცნობით, 7 ივლის, დილის 9 ს.-იდან ავად გახდა 20 კაცი. 8 ივლისის დილის 9 ს.-მდე ხოლერიანთა ბარაკში იყო 77 ავადმყოფი, მოემატა 12, გამოეწერა 2, მოკვდა 6 და დარჩა 81 ავადმყოფი.

◆ **თავის ჩამოხრჩობა**. ოზურგეთში ორშაბათს, 5 ივლისს, თავის სახლში თოკით თავი ჩამოუხრჩვია ადგილობრივ მცხოვრებს ივანე ქავჯარაძეს. მიზეზი გამოურკვეველია.

◆ **თავის მოკვლის განზრახვა.** 6 ივლისს თავის მოკვლის განზრახვით არტილერიის ქუჩაზე მცხოვრებმა მკერვალმა ქალმა ნინო დემიდოვმა კარბოლის სიმჟავე დალია, მაგრამ ექიმებმა სიკვდილს გადაარჩინეს. მიზეზი გამოურკვეველია.

◆ **დაპატიმრება**. 7 ივლისს მაძებარ პოლიციის აგენტებმა დააპატიმრეს შულავერის მცხოვრები სერგო კუშჩიევი, რომელიც სამხედრო ბეგარას ემალებოდა.

◆ 7 ივლისს, დილით ათ საათზე შეიკოვნიკოვის ქუჩაზე მეეზოვემ იპოვა ახლად დაბადებული ბავშვი, მდედრობითი სქესისა. ბავშვი ოლგას საბებიო ინსტიტუტში გაიგზავნა.

◆ 7 ივლისს პოლიციამ საერთო ჩხრეკის დროს ტფილისში დააპატიმრა 55 უპასპორტო.

ხოლერასთან ბრძოლა.

7 ივლისს, საღამოს $8^{1}/_{2}$ საათზე ქალაქის საბჭოს დარბაზში შესდგა შეერთებული კრება სასანიტარო ექიმების და სანიტარულ მზრუნველებისა. კრების მიზანი იყო ხოლერასთან საბრძოლველ აწ არსებულ საშუალებათა გადასინჯვა და ახალ საშუალებათა აღმოჩენა. თათბირმა გამოარკვია, რომ არსებულ საბრძოლველ საშუალებათ ბევრი ნაკლულევანებანი ჰქონიათ: 1) ავადმყოფის გასინჯვის და მცირე დარიგების შემდეგ ექიმი ატყობინებს სადეზინფექციო კამერას და თვითონ კი მიდის, სტოვებს ოთახსაც და ავადმყოფსაც; კარეტა და დეზინფექტორი კი ორი ან სამი საათის შემდეგ მიდიან, ოჯახში მყოფნი ეხებიან ავადმყოფს, იმის ნივთებს და ამ გვარად ავრცელებენ ხოლერას, 2) ბევრი, შეუგნებელი ხალხი, დეზინფექტორის მოსვლამდე ხოლერიანის ოთახში ნამყოფ ნივთებს ოთახიდამ ეზიდება და მალავს, რაიც ხოლერის გავრცელებას ხელს უწყობს, 3) ხოლერიან ავადმყოფის ბარაკში წაყვანის შემდეგ ოთახი იკეტება და შიგ მცხოვრებნი ქუჩაში რჩებიან, რაიც ნამეტნავად ძნელია ღარიბი ოჯახებისათვის, მით უმეტეს თუ მხოლოდ ერთი ოთახი უჭირავთ, ამას დაუმატოთ ის გარემოება რომ ხოლერიან ავადმყოფის ოჯახის წევრებს სხვები ძნელად უღებენ სახლის კარებს. ეს გარემოება მცხოვრებლებში უთანხმოებას იწვევს და ხოლერიან ავადმყოფებს ჰმალავენ, რაც ხოლერის გვრცელებას ხელს უწყობს 4) დეზინფექცია და იზოლიაცია ავადმყოფისა ე. ი. განშორება-განცალკევება ავადმყოფებისა საღებისაგან ნამეტანად გვიანდება, და სხვა და სხვა. პირველ ორ აქ მოხსენებულ ნაკლულევანებათა თავიდან ასაცდენად კრებამ სასურველად სცნო იყოლიოს შტატი სანიტარ ყარაულებისა, რომელნიც ავადმყოფთან ექიმთან ერთად მივლენ და მოიცდიან იქ იმ ხანობამდე, სანამ ავადმყოფს ბარაკში გაგზავნიან და ოთახსი დეზინფექციას გაუკეთებენ, ამ საშუალებით დაცული იქმნება ავადმყოფის განკერძოვება (იზოლიაცია) და ნივთების დამალვა შეუძლებელია შეიქნება. მესამე ნაკლულევანება ე. ი. ოთახის დაკეტვა კრებამ საჭიროთ სცნო, ხოლო მეოთხე ნაკლულევანება აცილებულ უნდა იქმნას წინასწარი დეზინფექციით ე. ი. კირის დაყრით და სადეზინფექციო სითხის სხურებით. ამ წინასწარ დეზინფექციას უნდა ახდენდნენ როგორც ავადმყოფის პატრონები ისე სასანიტარო ყარაულები. დანარჩენ წვრილი ნაკლულევანებათ კრებამ ნაკლები ყურადღება მიაქცია.

პატარა ფელეტონი

ვარდი

კ. ტეტმაიერისა.

ერთხელ ნიცცაში ზღვის პირად ვიდექი... ხელში წითელი ვარდი მეჭირა.. ჩემს წინ თავისუფლად, ამაყად გადაშლილიყო შუა დღის მზეზე ათასფერად მობრწყინ-მოელვარე; კაშკაშა ზღვა... რაღაც სინაზით, ნელა ირხეოდენ ტალღები. ფეხებში ოდნავ მეხეთქებოდნენ, თითქოს მელაქუცებოდნენ, მეალერსებოდნენ ერთგვარ მწყობრი ღრიალით...

მოკრიალებულ, ლაჟვარად ცაზე იდგა ვეება მზე. ეს იყო გაზაფხულობით. რამდენიმე თოლია მხიარულად დასტრიალებდა ზღვას თავზე. ხან თითქმის ზედ ეკროდნენ, ხან კი ისევ მაღლა ადიოდნენ დ მინდვრის პეპელასავით სივრცეშ იკარგებოდნენ... შორს, [illegible] ლეთით მოსჩანდა გემი-იგი. ხან დ თან ილეოდა, პატარავდებოდა უკა კვამლის გრძელ ზოლს სტოვებდა

მე ვარდი ჩავაგდე ზღვაში.

ცელქი ტალღები ეცნენ, ჩაიხუტეს გულში და გაიტანეს იგი ჩემგან. ვხედავდი, როგორ თან დ თან შორდებოდა იგი, მიდიოდ ჩემგან და ხან ვერცხლისფერად შ ითამაშებდა მზეზე ტალღებთან ერთად, ხან კი გაეხვეოდა ქაფში, მიილულებოდა...

პატარა ხნის შემდეგ ტალღებ უკან დაბრუნდნენ და უკან მომიტანეს ვარდი, მხოლოდ შევნიშნე რომ რამდენიმე ფურცელი მოსცილებოდა კვირტს და ცალკე მოსცურდნენ...

კვლავ გაექანნენ ჩემგან ტალღები და კვლავ გაიტაცეს უკანვე ვარდი... მალე ისევ დაბრუნდნენ დ უკან მოიტანეს იგი, მაგრამ უფრ მეტი ფურცელი მოსცურდა ცალკე. დიდხანს ვიდექი ზღვის პირას. ტალღები, მოგორდებოდნენ, ჩემს ფეხ ეალერსებოდნენ და კვლავ უკანვ ირბოდნენ ყვავილთან ერთად. იგი კი თან და თან ილეოდა... ილეოდა... ილეოდა... ფურცლები თან და თან აკლდებოდა. ბოლოს აღარაფერი დარჩა მისგან, გარდა აქ იქ მიტოვებულ და ტალღებში მიბნედილ რამდენიმე ფურცლისა... ტალღებს კი მოჰქონდათ იგინი ჩემთან ზედი ზედ, ერთი მეორეზე.. განა ესევე არ ემართება კაცი გულს?.. ცხოვრების ზღვაში ფურცლებად დაყოფილი, დაშლილი, დაქუცმაცებული იგი ბოლოს ძლივ პოულობს საიმედო თავსაფარს... სამარეს....

სან-განი-ძე.

გლდანში გამართულ წარმოდგენის გამო

(წერილი რედაქციის მიმართ).

ტფილისიდან 10-სა და ავჭალიდა 3 ვერსზე მდებარე გლდანში ავე საარაკოთ. ას-ორმოც-და-ათ კომლიანი სოფელი უპატრონოთ არი მიტოვებული. უცნობ ქველ-მოქმედის თანხის სარგებლით გახსნილი ჩვეულებრივის ტიპის სამინისტრო სკოლა. სამაგიეროთ, აქვე არსებობ 8 დუქანი, სადაც გამეფებულია მუდმივი ლოთობა. ხოლოთ ამით აიხსნება, რომ მცხოვრებთა სიღარიბ პირველ დანახვაზევე ძონძებსა დ ჯარის კაცის დაგლეჯილ ფარაჯაშ

მოპარული ბაცილა

(თავისუფალი თარგმანი)

— აი, ეს კი, განაგრძობდა ბაქტერიოლოგი,—აზიური ხოლერის ბაცილაა, ცნობილი ხოლერის მძიმე, ზაპეტაია.

ფერმკრთალმა ყმაწვილმა კაცმა მიკროსკოპში ჩაიხედა და ალბად იმიტომ, რომ მიკროსკოპის ხმარება არ იცოდა, მარცხენა თვალზედ ხელი მიიფარა.

— სრულებით ვერაფერსა ვხედავ,—წარმოსთქვა მან.

— აბა ეს ბუდლი მოატრიალეთ,—ასწავლიდა პროფესსორი-ბაქტერიოლოგი; — მიკროსკოპი უნდა უთუოდ თვალის და გვარად გასწორდეს. ჯერ მარჯვნივ მოსწიეთ, მერე მარცხნივ...

— ააა! აი ეხლა კი ვხედავ!—წამოიძახა სტუმარმა,—სრულიად ცხადადა ვხედავ. თუმცა არც თუ ეგრე ბევრს რამეს დაინახავს კაცი. რაღაც ვარდისფერი ნაჭრები და პწკირებია. ნუ თუ ამ პატარა ნაწილებს, ამ უჩინარ პწკირებს მთელი ქალაქის ამოწყვეტა შეუძლიანთ? თითქმის დაუჯერებელია!

მიკროსკოპიდან შუშა გამოიღო და შუქზედ დააცქერდა.

— ისე თვალით არც კი არაფერი სჩანს. ესენი ეხლა ცოცხლებია? ჰკითხა იმან და ხმაში მოუსვენრობა შეემჩნია. თუ საშიშონი აღარ არიან?

— არა, დახოცილებია და შეღებილები,—დაამშვიდა ბაქტერიოლოგმა.—არაფერს არ დავიშურებდი მთელი ქვეყნის ბაცილების ასე დახოცვად და შესაღებად,—სიცილით დაუმატა იმან.

— მგონი ამათი მშვენიერი მეზობლობა სასიამოვნო არ უნდა იყოს,—შენიშნა ფერმკრთალმა სტუმარმა რაღაცნაირი ღიმილით.

— აგრე რადა ფიქრობთ? მეცნიერებისადმი მოვალეობა და მუდამ მათთან ყოფნა გვაჩვევს და აღარასა ვგრძნობთ. აი მაგალითად აქ,—ბაქტერიოლოგმა თაჩხიდან შუშის დაბეჭდილი ბოთლი გადმოიღო,—იმავე ხოლერის ცოცხალი ბაცილებია დამწყვდეული; შიგ ხოლერის ბაქტერიების მთელი კულტურაა.

რაღაც სიამოვნების ღიმმა გაუქროლა ყმაწვილ კაცს სახეზედ.

— სახიფათოა!—შენიშნა მან, თან პატარა ბოთლს დაჟინებით ჩასცქეროდა.

ბაქტერიოლოგი გაკვირვებით უცქეროდა თავისი სტუმრის აღტაცებულს სახეს. ამ ერთი საათის წინად ის მოვიდა მასთან ერთი ძველი მეგობარი მეცნიერიდან სარეკომენდაციო წერილით. მისი სწორე, შავი თმა, ცისფერი თვალების ღრმა გამომეტყველება, გამხდარი სახე და მოუთმენელი, სწრაფი მოძრაობა, რომლებიც ამ კაცის ძლიერ ნერვიანობას მოწმობდნენ, მოსწონდა ბაქტერიოლოგს, როგორც მოსწონდა ის ცოცხალი ინტერესი, რომელსაც ახალგაზდა სტუმარი იჩენდა მის სპეციალობისადმი.

— დიაღ, აქ საშიში გადამდები სენია ჩამწყვდეული,—მრავალ მნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა ბაქტერიოლოგმა.—რაც ამ შუშაში სდგას, მარტო ამისი წყლის მილში ჩასხმა, და ამ პატარა პწკირებთან ერთად, რომლებსაც თვალი ვერც კი ხედავს, თუ არა მიკროსკოპით, სიკვდილი, უეცარი საზიზღარი სიკვდილი, რომელსაც წინ უსაშინელესი ტანჯვა უძღვის, ჩუმად მიეპარება ქალაქს და ცელ ამართული მოქალაქეთა სახლებს დაუვლის. ქმარს ცოლს მკერდიდგან აჰგლეჯს, ბავშვს დედის გულს მოაშორებს, მუშას თავისი დაზგიდგან გამოიყვანს. მხიარულ ფერხულს დაუვლიან ბაცილები წყლის მილში, შეუმჩნევლად იცოცებენ ქუჩებში, რომ მსხვერპლები ამოირჩიონ. სიამოვნებით ეწვევა ბაცილა უფრო იმ სახლებს, სადაც სიზარმაცისა და დაუდევნელობის გამო წყალს არ ადუღებენ და უბირსა სვამენ, სადაც ოჯახს სუფთად არ ინახავენ; ცნობის მოყვარეობით შეიხედავს ის ხელოვნურ მინერალურ წყლებისა და გამაგრილებელ სასმელებისკენ, მეორე - ხარისხოვანი რესტორანის სამზარეულოში; მარდად ჩახტება იაფ-ფასიანი კანდიტერის ნაყინში. დიაღ, ამისი მხოლოდ ერთი წვეთი საკმარისია მთელი ქალაქის დასაღუპად. ბაქტერიოლოგს უცბად შერცხვა თავისი მჭერმეტყველებისა და გაჩუმდა.

— მაგრამ ისინი აქ მაგრად არიან ჩამწყვდეულები და ვერას გზით ვერ ამოვლენ,—ღიმილით დააბოლოვა მან და შუშა თავის ადგილას თაჩხაზედ დასდო.

ფერმკრთალ ყმაწვილ კაცს თვალები უბრწყინავდა. თავისს აღტაცებას ძლივს იმაგრებდა, რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ამ დროს კარები დააკაკუნეს,

— ჩემო სიხარულო, პატარა ხანს აქ გამო, — მოისმა ბაქტერიოლოგის ცოლის ხმა...

როდესაც ბაქტერიოლოგი თავისს კაბინეტში დაბრუნდა, სტუმარმა საათს დახედა.

— მრცხვენიან, ღმერთმანი, - წარმოსთქვა მან,—თქვენმა საინტერესო ლაპარაკმა ისე გამართო, ვერც კი შევამჩნიე, დრო როგორ გაქცეულა, და ამოდენა დრო დაგახარჯვინეთ. მით უფრო, რომ ოთხ საათზედ საქმე მაქვს, ეხლა კი ოთხს ცოტა და აკლია. გთხოვთ მაპატიოთ: დიდათა გმადლობთ.

ბაქტერიოლოგმა სტუმარი გააცილა და ლაბორატორიაში დაბრუნდა. „ყოველ ეჭვს გარეშეა ავადმყოფი და არანორმალური ადამიანი უნდა იყოს,—ფიქრობდა ის თავის სტუმრის შესახებ. — როგორი ძლიერი ცნობის მოყვარეობით უცქეროდა ხოლერის და სხვა ბაცილებს“.

უცბად თავში რაღაც აზრმა გაუარა. სწრაფად მიირბინა თახჩასთან, გადააქოთა სამწერლო მაგიდა, შეიხედა სკამ ქვეშ, მოუსვენრობა დაეტყო; ჯიბეები ამოიქექა და იქაც რომ არაფერი ნახა, ოთახში გავარდა.

„იქნებ ტალანში მაგიდაზედ დავსდე“,—ამშვიდებდა თავსა.

— მანნი!—ყრუდ დაუძახა იმან.

— რა, სიხარულო?—საიდგანღაც მოესმა ხმა.

— რო გელაპარაკებოდი, ხელში ხომ არა მეჭირა რა?

— არა გჭერია რა, მე ეს დანამდვილებით ვიცი. შენ კიდეც...

— აი, დასწყევლა ღმერთმა!—საშინელი ხმით დაიყვირა ბაქტერიოლოგმა და ისარივით გავარდა ქუჩაში.

შემკრთალმა და შაშინებულმა მანნიმ ფანჯარას მიაშურა. ქუჩაში ვიღაც გამხდარი, შავგვრემანი კაცი ეტლში ჯდებოდა, ბაქტერიოლოგი კი უქუდო, თმა კაწეწილი ქოშებით იმისკენ მირბოდა. ერთი ქოში გავარდა, მაგრამ იმას ეს არც კი შეუმჩნევია.

„ალბად ჭკუიდან შეიშალა!—სთქვა გაფითრებულმა მანნიმ.—და ეს სულ ამ დაწყევლილი მეცნიერების ბრალია!“

გამოაღო ფანჯარა და დაუძახა. იმის ძახილზედ მოიხედა გამხდარმა კაცმა და დაინახა რა რომ მეცნიერი იმისკენ მირბოდა, ეტყობოდა (ასე იფიქრა გულ-კეთილმა პროფესიორმა) იმან გიჟად მიიღო, უცბად შეხტა ფაიტონში და ცხენები გაარეკინა. წუთის შემდეგ ეტლმა მეორე ქუჩისკენ გაუხვია და მოეფარა.

მანნის იმედი ჰქონდა, ბაქტერიოლოგი ეხლა მაინც დაბრუნდებაო, მაგრამ ის მაინც გამოუდგა ეტლსა და ჩქარა მოეფარა მეორე ქუჩის შესახვევში. საწყალი ქალი ამას კი აღარ მოელოდა.

„ყოველთვის რაღაც საკვირველი ხასიათი ჰქონდა,—ფიქრობდა გაჯავრებული მანნი,—მაგრამ თუ ლონდონის ქუჩებში უქუდო, ხალათის ამარა და წინდებიანი დაიწყებდა სირბილს, ეს კი არ მეგონა!“

იმან სწრაფად დაიხურა შლაპა, მოატაინა საწოლ ოთახიდან ქმრის ფეხსაცმელები. აიღო იმისი პალტო და ქუდი და გაეშურა ქუჩისკენ.

აქ მან მიმავალ ეტლს დაუძახა, ჩაჯდა და გამოუდგა ქმარს უკან.

— პირველ ქუჩაში შეუხვევ დ წახვალ, სანამ უქუდო, ხალათი მიმრბენალ კაცს არ მოეწევი

— უქუდოსა და ხალათით,—გა მეორა მეეტლემ,—მესმის, ქალბა ტონო,—დაუმატა ისეთი მშვიდი კი ლოთი თითქოს უთუოდ გაქცეულ ქმრების ძებნა ამისი ხელობა ყ ფილიყოს.

რამდენიმე წუთის შემდეგ ქალ ქის ერთს მოედანზე მდგარ უსაქმ მეეტლეების ყურადღება და ცნობი მოყვარეობა ამ სამი ეტლის დოლ მიიპყრო.

— რა ამბავია, რომ გაორი ხიკ ასე მუყაითად ამუშავებს კნუტს ყველაზე წინ კი მირბის!—სთქვა ერ თმა.

— მეორე მოხუცი გიორგი იყო —დაუმატა მეორე მეეტლემ.—რო ეთქვათ, არ დავიჯერებდი, თუ ეს ფეხ მარდი ცხენი ჰყოლია.

— მესამე ეტლში ქალი იჯდა დ ხელში რაღაც ეჭირა.

— ნეტა სად მიისწრაფიან ას ალბად ცეცხლი თუ უკიდია სად —ჩაერივნენ ლაპარაკში ყველა მე ტლეები.

— ერთი შევიტყოთ, მოდით!— შეჰყვირა კოჭლმა თომამ, დაჰკ თავისს ცხენსა და გამოუდგა.

პატარა ხნის შემდეგ ოცამდე ეტ ლი მისდევდა საბრალო მანნის ეტ ლსა. მთელი ლონდონი უცქეროდ ამ საუცხოვო კავალკადას.

წინა ეტლში გამხდარი კაცი კუთ ხეში მიმჯდარიყო. შუშის ბოთლ ბაცილებით მაგრად დაებღუჯა ხელ

გამოიყურება. ბუნება კი, ეს ადამიანთა დაქვეითების არ მიმბაძავი, დიახაც მდიდარია, მინდორ ვენახებით, მთის წყაროებით შემკული.

განვიზრახე წარმოდგენა, ჯერ ამ სოფლისთვის უცნობი ხილი, გამემართა, რომლის შემოსავლით საძირკველი მინდოდა ჩამეყარა სასოფლო მომავალ დეპოსათვის. ქართულ დრამატიულ დასის მსახიობთა—ბბ. საფაროვმა, ივანიძემ, პატარაძემ, ქელიძემ უსასყიდლოდ მონაწილეობის სურვილი გამოაცხადეს, მემამულე აკიმოვმა სიამოვნებით დაგვითმო ვეებერთელა მარანი, თანაც დეპოს დასაარსებლად დახმარება აღგვითქვა, და კვირას, 4 ივლისს, ადგილობრივ ძალების შემწეობით მოვაწყეთ ალ. ყაზბეგის „არსენა“. მართალია, გამოუცდელობის გამო, თუ უამინდობის მიზეზით, შემოსავალმა ხარჯი ვერ დაფარა, მაგრამ სამაგიეროთ მწყობრად წარმოდგენილმა პიესამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სმენად გადაქცეულ სოფლელთა აუდიტორიაზე.

ზნეობრივ მოვალეობად ვთვლი ულრმესი მადლობა მივუძღვნა ზემოთ დასახელებულ მსახიობთ, მემამულე აკიმოვს, ადგილობრივ მოძღვარს ე. ელიზბარაშვილს, მასწავლებელ მ. ტაბლიაშვილს და ყველა იმ პატივცემულ პირთ, რომელთაც ხელი შეუწყეს წარმოდგენის გამართვას.

დარია ხრამელაშვილისა.

მოწერილი ამბები

აგარაკი სოფ-უწერასთან (რაჭის მაზრა). საამური სანახავია აგარაკი სოფელ უწერასთან. თვალ აუწვდენელ ნაძვნარით მოსილი. დილით ადრე, როდესაც ამომავალი მზე ნელ-ნელა ამოაშუქებს ხოლმე მაღლა ცამდის აწვდენილ, თოვლით შემოსილ მწვერვალებს თავს მოექცევა გამარჯვებული მედიდურად დაჰყურებს და იქიდგან გეზად გადმოსროლილ სხივებს უხვად უგზავნის აგარაკს. პირდაპირ მთის ნაპრალიდგან გადმოხეთქილი პაწია, მაგრამ მძლავრი მდინარე ძლიერად ეცემა დაბლა, მთის ძირში, თითქოს ჭსურს დაიპყროს, მთელი არე-მარე და ხუვილ-ხუვილით ერთვის აბობოქრებულ, ნახევრად ქაფათ ქცეულ, მდინარე რიონს. ირგვლივ მაღალი მთები, მარჯვნივ მდ. რიონი და მისი გამუდმებული ხათქა ხუთქი ახმაურებს მთელ ამ მთებს, რომლის წიაღშიც გაშენებულია პატარა, კოხტა და სუფთა აგარაკი. ეს ადგილი არ უნდა ჩაითვალოს საგარაკოთ, რადგანაც ჭაერის უეცარი ცვლილება ძალიან ცუდათ მოქმედობს ადამიანზედ. თუ დღეს ხალხი ასე ძალიან ეტანება, ეს მხოლოდ და განსაკუთრებით მჟავე წყლის წყალობით; ეს წყალი იგი გამერელიძეს მამულში ამოდის. ფანჩატური, თვით წყლის ახლოს მდებარე ადგილები სუფთათ არიან შენახული, რაზედაც მადლობის ღირსია ჯაყარიძე. ამავე გაცის მეცადინეობით შესწორეს სასვლელი გზა და დასდგეს რამოდენიმე სკამი შესასვენებლათ. ამ წყალს თავის უკეთესი თვისებით პირველი ადგილი უნდა ეჭიროს, მაგრამ საუბედუროდ გზის უქონლობისა და ცოტა სიძვირის გამო მას დიდი სარგებლობა ვერ მოაქვს. მინერალურ წყლების გარდა ამავე აგარაკში არის ერთი ჩამქრალი ვულკანი, რომლიდგანაც ამოდის რაღაც შესაზარავი სუნი. მდაბიო ხალხის აზრით ამ სუნსაც სამკურნალო თვისება აქვს, სახელდობრ სურავანდის წინააღმდეგ. ვეჭვობ კი, რომ ამ სუნს რაიმე სარგებლობა მოჰქონდეს! ვულკანის პირში გაკეთებულია მასრა, სოფლელები იდებენ მასრას პირში და იქიდგან ამოსულ სუნს ყლაპავენ. ამ საშინელი სუნისგან უტყდებათ ხველა ან კიდევ ესივდებათ მთელი პირისახე. ამ რამდენისამე წლის წინათ ამ სუნისაგან მომკვდარა ერთი ქალი. მჟავე წყალს ზევით არის ერთი წყალი, რომელიც, როგორც გადმომცეს, ახერებს თავის ტკივილს. რამდენად მართალია ეს-ამისი თქმა ძნელია. აგარაკის დასავლეთით იმყოფება ნარზანის მგვანი წყალი. ამ მჟავე წყალს იმის გარდა, რომ არჩენს ავათმყოფებს დიდი სარგებლობა მოაქვს. თითქმის ახლო მახლო ქვესი სოფელი ასაღებს თავის ნაწარმოებს ამ აგარაკში და ამ გზით არ ვარდებიან ჩარჩ-მოვაჭრეების ხელში. წელს შესრულდა 25 წელიწადი, რაც ამ წყლით სარგებლობს ხალხი. თუ ამ რამდენსამე წლის წინათ არ იყო მოაგარაკეთათვის სახლები და მოსულებს გაჩერება უჭირდებოდათ მეტად ბინძურ სოფელ უწერაში, დღეს სოფლის მოშორებით არის მშვენიერი სუფთა აგარაკი, რომელიც გაცილებით დიდია სოფ. უწერაზე. აგარაკშივე არის წვრიმლის დუქანი და სასტუმრო, სადაც მოიპოვება საჭმელები ძალიან ხელმისაწდომ ფასებში.

აგარაკი ნელის ნაბიჯით მიიწევს წინ და თუ როდისმე მაინც ეღირსად რაჭველებს რკინის გზა, ეს აგარაკი პირველ ადგილს დაიჭერს სხვა აგარაკთა შორის. ვიმედოვნებ, აგარაკიც გადიდდება და თუ დღეს მარტო რამდენიმე სოფელი სარგებლობს, მომავალში ისარგებლებს მთელი ზემო რაჭა და თუ დღეს უწერის წყალი მარტო ონში მოიპოვება გასასყიდათ, მომავალში იგი ყველგან მოედება.

ბურჭულაძე.

გორი. ვერ იქნა და ვერ, ვერ მოწესრიგდა ჟურნალ-გაზეთების საქმე აქ ერთხელ და უკანასკნელად. გაზეთები გასაყიდად მოსდის რკინის გზის წიგნის მაღაზიის მოიჯარადრეს, მაგრამ მას ისე აქვს დაყენებული საქმე, რომ სრულიად ვერ აკმაყოფილებს ჟურნალ-გაზეთების მკითხველ საზოგადოების მოთხოვნილებათ. ქალაქში გაზეთის გამყიდველად უსუსური ბავში ჰყავს დაყენებული, რომელიც ფოსტამდე აიჩანჩალებს ხოლმე და უკანვე გარბის სადგურზე. დაჩვეული მკითხველი კი მაისურაძის და არჩვაძის წიგნის მაღაზიებში მიდის გაზეთის საყიდლად და ხელცარიელი, სასოწარკვეთილი, ბუზღუნით—აქ რომ გაზეთი ვერ იშოვო, სხვაგან სად უნდა იშოვნო, გორი ძირიან ფესვიანად არის ამოსაგდები და სხვ. ბრუნდება უკან. წიგნის გამყიდველი მაისურაძე სთხოვს ბ. მოიჯარადრეს, მოიტანე, მყიდველი მოდის, გაზეთს უპროცენტოდ გაგიყიდით, მაგრამ პასუხად ესმის მუდამ გაზეთი ცოტა მოდისო. საჭიროა ან ჟურნალ-გაზეთების აგენტურა სხვას გადაეცეს, შიგვე ქალაქში (მსურველები არიან), ან და მომატოს გაზეთი და მოიჯარადრემ ხეირიანად დააყენოს ქალაქში ჟურნალ-გაზეთების გაყიდვის საქმე, რათა ბოლო მოეღოს ამდენს წუწუნს და დავი-დარაბას.

როგორც წინადაც მოვიხსენიე, ქალაქის გამგეობა შეუდგა მზადებას ხოლერასთან საბრძოლველად, მაგრამ... მთელი მზადება მხოლოდ სანიტარულ კომისიის ამორჩევაში და ხოლერიანთათვის ბარაკის გამართვაში გამოიხატა. კარგები ავადმყოფების ცდაში ცვდებიან, სანიტარულ კომისიამაც ბუდზე წყალი გადისხა, ხოლო ქალაქის გამგეობა, დამშვიდებული, რომ თავის მოვალეობა „შესრულდა“, ისევ მხართეძოზე წამოწვა და თვალებს ბლეტავს, ეძინება. საქმე კი საიმედოს ვერას გვაქადის. აქა-იქ განტი-გუნტად ხდებიან ავად, მაგრამ სამწუხაროდ უვიცობისა გამო ხალხი ავადმყოფს მალავს, არ აჩენს და ხოლერის ნიშნებს ან ციებ-ცხელებას აწერს, ან ხატის მიზეზს. საქიმო სასანიტარო კომისია კი ხვრინავს, ძილში ტკბილად ხვრინავს და თუ გაიგო რამე—ხელს იქნევს—„შუსტიაკი“, გაიძახის. ვერც თუ ბარაკი გააკეთეს შესაფერ ადგილას. „დამბარეულში“, ბატონებო, სად ადამიანს შეეურება ხოლერა; ბაღებ შუა ჩავარდნილ ჭაობიან ადგილას მდებარეობა, დიდი სინესტე, სხვა და სხვა ბინძურ ადგილების ახლო, ვგონებ უფრო ხელს შეუწყობს ხოლერის გაჩენას და არ ვიცი ვისი რჩევით, ან რა მოსაზრებით გამართა გამგეობამ ბარაკი აქ. კარგი იქნება ხოლერის შესახებ უფასო ან იაფ ფასიან ლექციებს წაიკითხავდნენ ექიმები ამით ხალხს დიდ სარგებლობას მოუტანდნენ.

არაფერი ეშველათ ჩვენს ელექტრონის ფარნებს. თუმცა გამგეობამ ახალი მანქანა მოუმატა კიდევ, მაგრამ ისინი მაინც ეშმაკობენ, კეკემალურად თამაშობენ და ხშირად ბნელაში გვტოვებენ. დროა, ვგონებ, ამას ყურადღება მიექცეს.

ეს ერთი კვირაა სადამოობით წვიმა მოდის. თუ ასე გაგრძელდა, უეჭველია ცოტათი მოხრის წელში მოსავლით დაიმედებულ ჩვენს გლეხ-კაცს და ჭირნახულს შესამჩნევ ზიანს მიაყენებს.

ხან-განი-ძე.

უცხოეთი

რეაქციონერის მოკვლა სპარსეთში.

წინადაც იყო გაზეთებში დაბეჭდილი ცნობა რეაქციონერ სეიდ აბდულის მოქმედების შესახებ, სპარსეთის პროგრესიულმა ორგანიზაციებმა გაფრთხილება მისცეს სეიდ აბდულას, უთხრეს რეაქციონურ მოღვაწეობისათვის თავი გაენებებინა, მაგრამ ამაოდ, ამ დღეებში სეიდ აბდულას ბინაზე მოვიდა ოთხი კაცი და მაუზერის რევოლვერით მოჰკლეს სეიდ აბდულა. ამის გამო თეირანში მეტად შეჩოჩქოლებულნი არიან. მოკლულ სეიდ აბდულას ბევრი მომხრეები გამოუჩნდა და დემონსტრაციის მოხდენა დააპირეს. სეპეხდარისა და სარდარ ასადის წინააღმდეგ ლაპარაკობდენ. ქალებმა გლოვის ნიშნად თავზე ნაცარი დაიყარეს. ბრბო! მაღაზიები ძალით დააკეტინა. ქალაქში გაძლიერებული რაზმები დადიოდენ. პოლიციასთან შეტაკების თავიდან ასაცდენად მოკლულის გვამი დროებით დაასაფლავეს თვით სარდარ ასადის ეზოში.

სოციალ-დემოკრატები და ბიუჯეტი.

ბადენის სოციალ-დემოკრატებმა მონაწილეობა მიიღეს ბიუჯეტის შესახებ კენჭის ყრაში. სოციალდემოკრატთა ცენტრალურმა კომიტეტმა „ფორვერტსში“ პროტესტი გამოაცხადა ამის გამო. ც. კომიტეტი ამტყუნებს ბადენელ ამხანაგებს, პარტიეტავის დადგენილება დაარღვიეთო და პარტიულ სასამართლოთი ემუქრება.

ბრძოლა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ.

საფრანგეთის სოციალისტების კრებამ დაადგინა: „ყველა ქვეყნის სოციალისტურმა საპარლამენტო პრაქციებმა ერთსა და იმავე დროს უნდა შეიტანონ პარლამენტში წინადადება სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ და ძლიერი აგიტაცია უნდა იქნას გაწეული იმ კანონპროექტის გასატარებლად.

ხალხის განათლება ამერიკაში.

ამ მოკლე ხანში გამოვიდა შეერთებულ შტატების სახალხო განათლების ცმიარის ედიგერ ბროუნის მიერ გამოცემული ანგარიში 1907-1908 სამოსწავლო წლისა.

შეერთებულ შტატებში არაა მთავრობის ერთნაირი სასკოლო სისტემა. სკოლებს ინახავს ქალაქი, სოფელი, შტატი ან თემი. იმდენად სხვა და სხვა წესებია შტატებში სახალხო განათლების შესახებ შემოღებული, რომ მაგ. სამხრეთ შტატებში არაა სავალდებულო სწავლება შემოღებული.

1907 წლის ივნისში შეერთებულ შტატებში ითვლებოდა 85.526,761 სული მცხოვრები. ამ რიცხვიდან სასკოლო ხნისა ე. ი. 5 და 18 წლამდის 24.262,936 სული, ანგარიშიდან სჩანს, რომ ამ რიცხვიდან მხოლოდ 16.890,818 ბავშვი დაიარებოდა სკოლებში, ანუ 69 პროცენტი. სასკოლოდ მოყრილ ბავშვებისა დაიროდა დაბალ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში კერძოდ სახალხო სკოლებში დაიარებოდა მცხოვრებთა რიცხვის 19,75 პროცენტი. შტატების ყველა სკოლებში საანგარიშო წელს ყოფილა 481,316 მასწავლებელი. აქედან მხოლოდ 21,7 პროცენტი მამაკაცი, დანარჩენი დედაკაცი. საზოგადოდ 1880 წლიდან ემჩნევა, რომ მასწავლებლებში ქალები უფრო სჭარბობენ, ვიდრე მამაკაცები. მაგ. 1880 წელს საერთო რიცხვის 42,8 პროცენტი მამაკაცები იყვნენ მასწავლებლებად. 1890 წელს—34,1, ხოლო 1900 წელს კიდევ დააკლდა ამ რიცხვს და 29.9 პროცენტი ეხლა ანგარიშიდან სჩანს, რომ საშუალოდ მასწავლებლის თვიური ჯამაგირი მატულობს. საანგარიშო წელს მასწავლებელს საშუალოდ ჰქონია თვიურად 50,3 დოლარი (100 მანეთზე მეტი) საერთოდ შეერთებულ შტატებში 573 უნივერსიტეტი და სხვა და სხვა ტიპის უმაღლესის სასწავლებელი ყოფილა. ამ რიცხვიდან 143 სასწავლებელში განსაკუთრებით მამაკაცები სწავლობენ, 321 სასწავლებელში—ორივე სქესის ახალგაზდანი, ხოლო 109 სასწავლებელში განსაკუთრებით ქალები. ამ სასწავლებლებში ყოფილა 24.489 მასწავლებელი. აქედან 4,571 მასწავლებელი ქალი. მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესს სასწავლებელში შესვლა ამერიკაში გაადვილებულია, მაინც შედარებით ნაკლები რიცხვი სწავლობს. სულ შეერთებულ შტატების საერთო რიცხვისა 1,1 პროცენტი.

თეატრი და ხელოვნება

დ. ხონი. შაბათს, 3 ივლის გამართულ იქნა წარმოდგენა, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდა გარდა ოთხ მოწვეულ მსახიობისა ბ-ნი ბუდუ მდივანიც წარმოადგინეს მხიარული კომედია ვ. გუნიასი, „სიძე-სიმამრი“. მიუხედავად იმისა, რომ მეტად მხიარული კომედია, ჩემის აზრით ამ პიესის „ცნობილი პიესის“ სახელით მონათვლა მაინც შეუძლებელია. საზოგადოთ ხონის დრამატიული ჯგუფი აფიშებში ყველა პიესებს „ცნობილ პიესის“ სახელით ნათლავს. თუ რად დასჭირდათ ასეთი რეკლამები არ ვიცი, ერთხელაც არის უნდა გაიგონ, რომ რეკლამებს ხონის საზოგადოებაში არავითარი გასავალი არა აქვს.

წარმოდგენამ საერთოდ გვარიანად ჩაიარა. კარგი იყო თ. გოგოლაშვილი კატოს როლში. აგრეთვე კარგი იყო ნ. გვარაძეც გიორგის როლში. ეს როლი ასე ვთქვათ, მის ამპლუას არ შეადგენს, მაგრამ მსახიობმა მშვენივრად შეასრულა თავის როლი, ხოლო ნ. გვარაძეს დრამატიულ როლების თამაში უფრო ემარჯვება ვიდრე კომიკური, მაგრამ ამ საღამოს კომიკური როლიც კარგად შეასრულა. სუსტათ შესრულებულ იქმნა ვ. შალიკაშვილისაგან გენერალ გივი რუეიანიძის როლი. გენერალს მეტი სიდინჯე მოეთხოვებოდა მიხვრა-მოხვრაშიაც და ლაპარაკშიაც. ამ საღამოს სუსტი იყო ბ-ნი მდივანი. მეტის მეტად სხაპასხუპით ლაპარაკობდა და შესაფერ შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა. აღსანიშნავია რომ ბ. მდივანს ქართული ენა კარგად ემარჯვება. ამ საღამოსაც სხაპა-სხუპით ლაპარაკობდა, მაგრამ ქართულს მაინც არ ამახინჯებდა, როგორც ეს ზოგიერთ ჩვენ მსახიობთ სჩვევიათ.

მდივანს ხმაც საუცხოვო აქვს, მაგრამ უნდა შევნიშნო, რომ გადამეტებული არც ყვირილი ვარგა და არც მეტის მეტი დაბალი ხმით ლაპარაკი. ის კი 3 ივლისის წარმოდგენაზე ყვირილით ყურებს გვიჭედდა, ხან კი ისე დაბლა ლაპარაკობდა, რომ მისი ხმა სანახევროდ არ ესმოდა საზოგადოებას. წარმოდგენას ხალხი მეტად ცოტა დაესწრო. მიზეზი ცუდი ამინდი იყო. 3 ივლისს წარმოდგენის დაწყებისას გვარიანი წვიმა მოვიდა, მაგრამ ეს წვიმა დიდათ არ დააბრკოლებდა ხალხის მოსვლას თეატრში, ამ საღამოს ბევრ ალაგას საღამოები რომ არ ყოფილიყო გამართული. დადგება გაზაფხული თუ არა საღამოების მართვა ხშირდება. ამ საღამოებს ჰმართავს სოფლად დაბრუნებული ახალ-გაზდობა. ეხლა არ იკითხავთ თუ რას იძენს მოსწავლე ახალ-გაზდობა და სოფლის მასწავლებლები ასეთ საღამოებიდან. ის პირველ ყოვლისა აქ ეჩვევა კარტ-ნარდის თამაშს, ჩხუბს და ლოთობას. ითვისებენ ლანძღვა გინების ტერმინებს და სხვ. განა სირცხვილი არ არის, რომ ხონში ასეთი შინარსის საღამოები მეტოქეობას უწევდეს თეატრს, ამ ხელოვნების წმიდა ტაძარს. განა სავალალო არაა, რომ სოფლის მასწავლებლები, მოსწავლე ახალ-თაობა იქ უფრო მეტ კმაყოფილებას გრძნობს, და იქ უფრო მეტ სიამოვნებას ღებულობს, სადაც ღვინის სმა და კარტ-ნარდის თამაშია. თეატრს გაურბიან და გინების გამრყვნელ-გამათახსირებელ საღამოებში კი სიამოვნებას გრძნობენ. მე როდესაც ვხედავ და ვაკვირდები ინტელიგენციის მომეტებულ ნაწილის მოქმედებას, ის დასკვნა გამომყავს, რომ დაიარება თეატრში არა ესტეტიურ სიამოვნების მისაღებად, არამედ გასართობად. 3 ივლის კი სხვაგანაც გაერთობოდნენ და თეატრში მოსვლით თავი არ შეიწუხეს.

შემდეგი წარმოდგენა გაიმართება კვირას, 4 ივლის. წარმოადგენენ ლ. ანდრეევის პიესას „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“ ლ. ელიოზიშვილის ნათარგმნს.

სახალხო სეირნობა ლატარეია ალეგრით, რომელიც უნდა გამართულიყო ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების სასარგებლოდ 29 თიბათვეს არ გაიმართა. მიზეზი კი ნებართვის მიუღებლობა იყო. თუ მიიღეს ნებართვა ასეთი სეირნობის გამართვას ამავე მიზნით აპირებიან შემდეგისათვის. სამართალიც ასეთი უნდა.

— ბენეფისი ვ. შალიკაშვილისა გაიმართება 25 ამ თვეს. გვარაძისა კი 1 აგვისტოს პირველის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება „ოჯახი“ პიესა მისივე ვ. შალიკაშვილისა. მეორე კი თავის საბენეფისოდ სდგავს რიშკოვის დრამას „პირველი მერცხალი“

მაღალი.

ოზურგეთი. კვირას, 4 ივლისს, ადგილობრივ სცენის მოყვარეების მიერ წარმოდგენილ იქმნა კომედია 3 მოქმედებად „ბედმა მიღალატა“ თუთაევისა და ერთ მოქმედებიანი ვოდევილი „შეყვარებული გიმნაზიელი“ რუტკოვსკისა. საზოგადოდ პიესამ სუსტად ჩაიარა. კარგი იყო ქ-ნი ნ. ჩიგოგიძე (თაფლოს როლში) არა უშავდარა ქ-ნ პ. ქარცივაძეს (სოფოს როლში) და ბატონ ე. ღლონტს როსტომის როლში. რაც შეეხება დანარჩენებს, სუსტობდნენ როგორც როლის ზეპირად ცოდნაში, ისე სცენაზე თავის დაჭერაში. ზედმეტი იყო ბ-ნ კ. მამულაიშვილის მიერ უდროო დროს ზევით შარვალის წევა. ნუ ავიწყდებათ ბატონ სცენის მოყვარეებს, რომ ისინი გამოდიან სცენაზე, ხალხის წინაშე და როლის ცოდნა საჭიროა, ვოდევილი წარმადგინეს რუსულ ენაზე: სხვებთან შედარებით ამ ვოდევილში უკეთ თამა-

---

ში. იმას ეშინოდა, რომ თავისს აზრს ვერ შეასრულებდა და ბაქტერიოლოგი დაეწეოდა.

— ო-ო! დაწყევლილო კაცობრიობა! ახლა გაიგებ, ვისთანა გქონია საქმე. დიდება, უკვდავი სახელი! რამდენი რამ მომელის! დიაღ, ყველა გამიცნობს, დამაფასებს. ჩქარა, ჩქარა! ეხლა კი სახლთან ახლო ვარ. როგორ კარგადა და მოხერხებულად მოვიქეცი! შევადგინე ყალბი, სარეკომენდაციო წერილი, მივედი მეცნიერ ბაქტერიოლოგთან, მოვპარე, რაც ჩემთვის საჭირო იყო და წამოვედი.

ყმაწვილმა კაცმა ოქროს ფული მიაწოდა მეეტლეს.—ჩქარა, თუ ღმერთი გწამს, ჩქარა. აი იმ სახლთან მიმიყვანე... არ მოგვეწვივნენ!.. იქ წყლის მილია და ამ ბაცილებს შიგ ჩავყრი, ჩაიჩურჩულა იმან.

— ვეცდები,—უპასუხა მეეტლემ; გამოართვა ფული და ცხენს შოლტი ლონივრად გადაჰკრა. ცხენმა გაიწია. უცბად ეტლი ერთს მხარეს გადაიხარა, ყმაწვილმა კაცმა თავი ვერ შეიმაგრა, და ეტლის რკინის შუშა მიეხეთქა. ბოთლი გატყდა და ძვირფასი შხამი დაიღვარა.

სასოწარკვეთილებით უცქეროდა საბრალო ყმაწვილი კაცი მათ უკანასკნელ წვეთებს, რომლებიც ეტლიდან ძირს ეცემოდნენ.

— დავიღუპე! — გაიფიქრა იმან. —მევე შემხვდება ხოლერა, და ჩემს მიზანსაც ვერ მივაღწიე — ვერ ამოვიყარე კაცობრიობის ჯავრი. თუმცა თავისი მოვალეობის ასრულების დროს კაცის დაღუპვაც დიდებაა. მხოლოდ ოლონდ სიკვდილი ჩქარა მეწვიოს და დიდხანს ნუ ვიტანჯები უნდა ვეცადო უკანასკნელი წამი უფრო მოვიახლოვო.

ის დასწვდა და აიღო ბოთლის ძირი, რომელშიაც კიდევ რამდენიმე წვეთი დარჩენილიყო, და ყველა ეს იმან გადაუშვა ყელში, რომ თავისს სიკვდილში უფრო დარწმუნებული ყოფილიყო.

და აქ მას მოაგონდა, რომ გაქცევა იმას აღარა სჭირია, რომ მეცნიერი ბაქტერიოლოგის შიში ეხლა უსაფუძვლოა. იმან უბრძანა და გააჩერებინა ეტლი. ჩამოსვლისას კინაღამ წაიქცა: რაღაც თავი უბრუვდებოდა და ტანში სისუსტესა გრძნობდა.

„ოჰო! რა ჩქარა მოქმედობს ხოლერის ბაცილლა!“—გაიფიქრა იმან.

იმან თავი დაუქნია მეეტლეს, რომელიც მადლობას ეუბნებოდა დიდი ფასის მიცემისათვის, და გაჩერდა შუა ქუჩაში გულხელ დაკრებილი ამაყად, ნაპოლეონივით. მოახლოვებული სიკვდილის წინაგრძნობა რაღაც მედიდურ სახეს აძლევდა იმას. მხიარული ხმით იგი მიესალმა ბაქტერიოლოგს, რომელმაც ეტლი გააჩერა იმის ახლო და იქიდგან გადმოვიდოდა.

— გაუმარჯოს სიკვდილს! ცოტა კი დაიგვიანეთ, ჩემო კარგო! მთელი ბოთლი გამოვცალე და ეხლა ხოლერის ბაცილები უკვე იერიშით მიდიან ჩემს შიგნეულობაზედ.

მეცნიერმა სათვალეები შუბლზედ გადაიწია და ცნობის მოყვარეობით შესცქეროდა.

— ბოთლში რაც იყო თქვენ დალიეთ?—გაკვირვებულმა წარმოსთქვა.—ვინა ხართ? მაგრამ ეგ არც საჭიროა. ისეც ყველაფერი მესმის. —იმას უნდოდა კიდევ რაღაც ეთქვა, მაგრამ გადიფიქრა და გაჩუმდა. დამცინავი ღიმილი უკრთოდა სახეზედ. ის მოუბრუნდა თავისს ეტლს და შიგ ჩაჯდომას აპირებდა. ყმაწვილმა კაცმა ღრმად და ტრაღიკულად დაუკრა თავი და გასწია თავისს გზაზედ. ბაქტერიოლოგის წინ სწორედ ამ დროს გამოიქცა იმისი ცოლი ერთს ხელში ფეხსაცმელებით და მეორეში პალტო ქუდით.

— აი ეგ ძალიან მომწონს შენგან, რომ ჩემი ფეხსაცმელები და პალტო-ქუდი მომიტანე, — უთხრა მეცნიერმა და თან ემჩნეოდა სულ სხვა რამეზედ ფიქრობდა და იმისი თვალი გაჰყოლოდა შორს მიმავალ ახალგაზდა კაცს, რომელიც ოდნავ მოსჩანდა.

— არ გინდა, ჩემი ეტლით წაგიყვან სახლში,—დაუმატა იმან. ამ სიტყვებმა იმისი ცოლი სრულიად დაარწმუნეს, რომ პროფესორი ჭკუიდგან შეშლილა, ცრემლებს ძლივს და იმაგრებდა საწყალი ქალი, ისე ჩასვა ეტლში და წაიყვანა სახლში.

— გინდა ფეხსაცმელები ჩავიცვა? დიდის სიამოვნებით, ჩემო ძვირფასო,—სთქვა მან თავის ცოლის დაჟინებულ თხოვნაზედ, ფეხთ ჩაიცვიო. და უცბად დაიწყო ხმამაღლა სიცილი. სწორედ ამ დროს შეჰხედა თავის ცოლსა და შეამჩნია მისი შიშისაგან ფერ-წასული სახე და გადებული თვალები.

— ყური მიგდე, რა მიხდა,—უთხრა მან დამშვიდებული კილოთი. —აი, ის ყმაწვილი კაცი ჩემთან მოვიდა და მითხრა, სტუდენტი ვარ და თქვენი მეცნიერება ძალიან მაინტერესებსო. მე იმას ის ახალი სახის ბაქტერიები ვაჩვენე, გახსოვს ამას წინად რომ გიამბე, რომ იმის მიღების შემდეგ მაიმუნები სულ გალურჯდებიან ხოლმე და ეს ფერი თავისი დღეშიც აღარ ეცლებათ. რაღაც ეშმაკათ უთხარი, რომ ეს ხოლერის ბაცილებია მეთქი. შენ რომ პატარა ხანი გამიხმე, იმას მოეპარა ის ბოთლი და, ეტყობა, უნდოდა წყლის მილში ჩაესხა. დიაღ, ნახე მთელს ქალაქში, როგორ დალურჯდებოდა ხალხი. გზაში რაღაცაც აზრი შეუცვლია და თითონ დაულევია. რასაკვირველია, ჯერ დარწმუნებული არავარ, ექმნება რამე მოქმედება ადამიანზედაც თუ არა, მაგრამ შენც ხომ იცი რომ კატა, კურდღელი, ძაღლი და ბედაურაც კი ყველა მაგ წამლის დალევის შემდეგ ლურჯად შეიღებნენ. საინტერესოა, ეხლა იმ კაცი ხვედრი. ცუდი მხოლოდ ის არის, რომ იმის მომზადებაში დრო და ფული დავხარჯე და კიდევ ვინ იცის რამდენი დამეხარჯება. რა გინდა? პალტო ჩავიცვა? ცხელა ისეც... მაინც ჩემთვის სულ ერთია, რახან შენ გინდა, მოიტა ჩავიცვამ.

გ. ნაზარაძე.

შობლა ქ-ნი პ. ქარცივაძე (ნადიას როლში) არა უშავდარა ბ-ნ კ. მამულაიშვილსაც. რაც შეეხება წეს-რიგს, ბევრს დამსწრეთაგანს არა ჩვეულებრივად ეჭირა თავი. კარგი სმენის პატრონი ადამიანი უნდა ყოფილიყო, რომ გაეგო რამე. მიუხედავად იმისა; რომ ადმინისტრატორი ცდილობდა დაეწყნარებია. ზოგიერთებს ხომ მეტად ცუდად ეჭირად თავი. საჭიროა თავდაჭერილობა იქონიონ ასეთმა ვაჟბატონებმა.

ი. ელისაბედაშვილი.

რუსეთი

◆ **„კრამოლას“ აღმოფხვრა.** საინტერესოა საგმირო საქმენი სლაბოდსკის მაზრის, სოფ. შჩეკინსკის ბოქაულის ბერგისა. ბერგი საყვარელი მეგობარია ყოფილ გუბერნატორის თავ. გორჩაკოვისა, რომელსაც მეტად კარგად იცნობენ ვიატსკის მცხოვრებნი. ბოქაულმა ბერგმა სოფ. შჩეკინსკში გაჩხრიკა გლეხი მიკულინის სახლი. გაჩხრეკის მიზეზი ის იყო, რომ ამ გლეხთან ერთი ღამე გაუთევია კოსინსკის 2 კლასიან სასწავლებლის მასწავლებელს ლუბინს. ლუბინი ფუტკრის სკების სასყიდლად ჯაფილა სხვა სოფელში და გავლის დროს მიკულინა სწვევია. ლუბლინი წინად ადმინისტრატიულად ყოფილა გადასახლებული და, რასაკვირველია, ამისთანა მასწავლებლის სტუმრობა პოლიციამ „კრამოლას“ დაფარვად იცნო. თავის თავად ცხადია, ჩხრეკამ უნაყოფოდ ჩაიარა და „დამნაშავეც“ პოლიციის მისვლამდე უკვე წასულიყო. საქმე ამითი არ გათავდა. ჩხრეკის დროს ბერგი მოუბრუნდა მიკულინს და მუქარით უთხრა: შენ სახლში იძინებენ საეჭვო პირები, ხალხი ხშირად დაიარება და თუ ეს ასე გაგრძელდა, მოვალ ჯარით, სახლს გარს შემოვერტყმით და ცეცხლს წაუკიდებთო. აქედან ფეხს არ მოვიცვლით, სანამ სული არ გადავბუგავთო. მაგრამ მარტო მუქარით არ დაკმაყოფილდა „კრამოლას“ აღმომფხვრელი. ჩხრეკის შემდეგ იმის ბრძანებით შეკრიბეს მთელი სოფლის მცხოვრებნი, რომელთაც ბერგმა უშვერის სიტყვებით მიმართა: „ეს საზიზღარი, თვლაფიანი იცნობს ლუბლინს (მიუთითა მიკულინზე). თქვენ არ გირჩევთ ყური უგდოთ ყველა გამვლელს და ნაცნობობა იქონიოთ ვისთანმე, ხოლო თუ კიდევ რამე მოხდა, სისხლით მოვრწყავ თქვენს სოფელსო. გლეხებს უნდოდათ ეთქვათ რამე თავის გასამართლებლად, მაგრამ შიშით კრინტიც ვერ დასძრეს, დაიშალნენ და თავისთვის ამბობდნენ: დაუდგა დრო, სულ უბრალო რამისთვის დაიღუპებიო და სხვა. მეტად საინტერესოა აგრეთვე ბიოგრაფია თვით ბერგისა. ბერგი 1901 წ. ბოქაულად იყო ვიატკის გუბერნიის ურჟუმის მაზრაში. ხაზინის ფულის გაფლანგვის შემდეგ გაასამართლეს მექრთამეობისათვის და მიუსაჯეს უფლებების ჩამორთმევა და ორი წლით პატიმართა რაზმში გაგზავნა. მანიფესტის გამო ეს სასჯელი შეუმცირეს და მალე კიდეც გაანთავისუფლეს. ბერგმა იგრძნო შავრაზმელთა კეთილ სურნელოვანება და გულმოდგინედ იწყო ქადაგება. დაუჯილდოვებლად არ იქნა დატოვებული. იგი მიიღეს მიხელეთ საგუბერნიო სტამბაში. ამის შემდეგ ბერგი კიდევ იჯდა საბრალმდებლო სკამზე „პოგრომების პროცესის“ გამო, მაგრამ გაამართლეს. რადგანაც ბერგი მეტად მომქმედნი წევრი და მოღვაწე გამოდგა ადგილობრივ მონარქიულ პარტიისა, თავ. გორჩაკოვმა ძველი ცოდვები შეუნდო და დაუბრუნა ყველა უფლებანი, გარდა აზნაურობისა. ამის შემდეგ თავ. გორჩაკოვმა ისევ ბოქაულად დანიშნა. ამ თანამდებობაზე არის ეხლაც ეს გამოცდილი კაცი და კვლავ განაგრძობს „კრამოლასთან“ ბრძოლას.

◆ **კავშირის წევრების თავხედობა.** ამ უკანასკნელ დღეებში ნიკოლსკის სლაბოდკაში, კიევის ახლო ადგილობრივი კავშირის წევრნი სისტემატიურად სცემენ ებრაელებს ცნობილი ხულიგანები, წევრები ადგილობრივ რ. ხ. კავშირისა—ვორონი, ბარბოტკო, პანჩენკო, სავკა და სხვ. ყოველ დღე გამოდიან დამბაზე. აქ ესენი შეიკრიბებიან ხოლმე და აღარავის ატარებენ. ადგილობრივი პოლიცია წინააღმდეგობას უწევს, მაგრამ კავშირის თავაშვებულებას საზღვარი არ უჩანს და „მსხვერპლთა“ რიცხვი მატულობს. ხულიგანები დაუყვირებენ „შესდექ, ადგილიდან არ დაიძრა“ და დაუწყებენ ებრაელს ცემას. ასე სცემეს აპიევსკის, ცოლ-ქმართ ხესინებს, სტუდენტ ცუკერმანს, ვაჭარ კარანსკის და მრავალ სხვას. სცემეს აგრეთვე ადგილობრივ მცხოვრებს?, ფაქცოროვიჩს, ივიცენს, გოლუბს და რუბანს. ყველა ეს საზიზღრობა და ხულიგანობა დაუსჯელად რჩება. კავშირის წევრები ჩვეულებრივ დაიბარებენ პოლიციის ნაწილში პიროვნების გამოსარკვევად (თუმცა კარგად იციან მათი ვინაობა) და მაშინვე გაუშვებენ ხოლმე.

◆ **შეტაკება ხოლერის გამო.** სოფელ კონსტანტიევკაში ხოლერა გაჩნდა და რამდენიმე კაცი მოკვდა. ეპიდემიასთან საბრძოლველად მივიდა ჯგუფი საეროზო ექიმებისა, მაგრამ მუშაობა ძალიან გაძნელდა. გლეხები მიცვალებულთ მალავდნენ, და საეჭვოდ უცქეროდნენ დეზინფექციას, რომელსაც გადასადებ სენათ სთვლიდნენ. მალე ვიღაცამ ხმა დაყარა, რომ ექიმებმა ჭები მოწამლესო. ხალხის დასამშვიდებლად მღვდლებმა ჭები აკურთხეს და მერე გლეხებთან ერთად ხოლერიანთა სასაფლაოზე წავიდნენ პანაშვიდის გადასახდელად. ამ დროს მღვდელთან მივიდა ერთი გლეხი და უთხრა: „აბრახუნებს მამაო“. მღვდელმა ვერ გაიგო ეს და ჰკითხა, რა აბრახუნებსო.

— ხოლერიანი აბრახუნებს,— უთხრა გლეხმა, კვნესის და ნება მოგვეცით ამოვიღოთო. ის ხოლერიანი, რომელზედაც გლეხმა უჩვენა, ერთი კვირის დამარხული იყო. ეს ხმა, ვითომ ხოლერიანი აბრახუნებს და კუბოში კვნესისო, უცბად გავრცელდა და მოედო იქ მყოფ გლეხებს. ტყუილად არწმუნებდა მღვდელი, რომ ხოლერიანი არ აბრახუნებდა, გლეხები თავისას გაიძახოდნენ, ღელდებოდნენ და მტრული გრძნობები ეზრდებოდათ ექიმების წინააღმდეგ. ცოცხალ ადამიანებს მარხავენ, გაიძახოდა ხალხი. მეორე დღეს დეპუტაცია გაგზავნეს გლეხებმა ბოქაულთან, მღვდელთან და სასამართლოს გამომძიებელთან, რომ ნება დაერთოთ საფლავის გათხრისა, მაგრამ უარი მიიღეს. ეს გაიგო ხოლერიანის ცოლმა და თავისი შვილებით წავიდა და მოთხარა საფლავი. კუბოდან ამოიღო უკვე გახრწნილი გვამი.

◆ **შვილის გაუპატიურება.** კიევში 29 ივნისს, პოლიციის ნაწილში მივიდა 14 წ. ქალი ნადეჟდა და განაცხადა, სისტემატიური მსხვერპლი ვარ მამის პირუტყვულ წადილისაო. ამასთანავე საბრალომ განაცხადა, რომ მამა წინააღმდეგობისთვის ხშირად მცემს და მოკვლას მემუქრებაო. ესევე დაამტკიცა მისმა 18 წლის დამ, უკვე მეძავმა, რომელმაც სთქვა, რომ ამ ხუთი წლის წინად მამამ ამხადა ნამუსი და იმის შემდეგ ჩემთან კავშირი აქვსო. დაპატიმრებული დანაშაულობაზე თავს არა სდებს და შურის ძიებას აწერს თავის ქალების ჩივილს.

განცხადებანი

ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—138

დოქტ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დილით:

გ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

ყ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

ბ. გ. აგასაროვი: 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა: 9½—1 ს. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

საღამოთი:

ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი: 6—6½ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

მატარებლების მიმოსვლა

18 აპრილიდან 1910 წ.

ხაათები ნაჩვენებია ტფილისის დროს მიხედვით, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წუთით წინაა.

ტფილისიდან გადის

ბათუმისკენ: N 1, სწრ.—საღ. 11 ს. 28 წ.
N 3, საფ-ს.—დღ. 1 ს. 24 წ.
N 5, სამგზ.—საღ. 7 ს. 31 წ
ბაქოსკენ: N 2, სწრაფ.—დილ. 8 ს. 15 წ.
N 4, საფ-ს.—საღ. 10 ს. 4 წ.
N 12, სამგზ.—დღ. 2 ს. 38 წ
ბორჯომისკენ: სამგზ.—დილ. 8 ს. 28 წ.
სამგზავ.—დღ. 3 ს. 36 წ.
ჯულფისკენ: საფოსტო—ღამ. 12 ს. 22 წ
ერევნისკენ: სამგზავრო—დღ. 4 ს. 15 წ.

ტფილისში მოდის

ბათუმიდან: N 2, სწრ.—დილ. 7 ს. 25 წ
N 4, საფ-ს.—საღ. 9 ს. 4 წ.
N 6, სამგზ.—დილ. 11 ს. 4 წ.
ბაქოდან: N 1, სწრფ.—საღამ. 10 ს. 36 წ.
N 3, საფოს.—დღ. 12 ს. 24 წ.
N 1. სამგზ.—დილ. 6 ს. 58 წ.
ბორჯომიდან: სამგზ.—დილ. 6 ს. 28 წ.
სამგზ.—საღამ. 8 ს. 08 წ.
ჯულფიდან: საფოსტ.—დილ. 6 ს. 8 წ.
ერევნიდან: სამგზავ.—დღის. 6 ს. 33 წ

კატალოგი

ქ. ზ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიის. № 3.

I

სასულიერო შინაარსის წიგნები.

1. იოსელიანი გ. საღმრთო ისტორია ძველი და ახალი აღთქმისა, სურათებით, ტფ. 1909 წ. 40 კ.
2. მისივე ლოცვანი ტფ. 1910 წ. 20 „
3. ძველი ათქმა, ხუთი წიგნი მოსესი ტფ. 1900 წ. . . . . . 50 „
4. ფსალმუნი. ტფ. 1901 წ. . . . 10 „
5. ახალი ათქმა. სახარება. საქმე მოციქულთა და ეპისტოლენი მოციქულთანი. ტფ. 1879 წ. . 40 „
6. სახარება.

II

მოთხრობები, ლექსები, პიესები.

7. აკაკის სახსოვრად. საიუბილეო კრებული. ტფ. 1908 წ. . . 40 „
8. ანდრეევი ლ. ადამიანის ცხოვრება. ტფ. 1907 წ. . . . . 50 „
9. ბარათაშვილი ნ. ლექსები, „სორაპნის“ გამოცემა. ტფ. 1910 წ. 10 „
10. გვარამაძე ივ. თამრო ჰარამხანაშია. გურიის ცხოვრებიდან. ახალციხ. 1906 წ. . . . . . 20 „
11. გლახაშვილი ს. წყურვილი. დრამა 3 მოქ. 4 სურ. ტფ. 1910 წ. 30 „
12. გიგაური. ლექსები. ქუთ. 1908 წ. 20 „
13. გიოტე, ფაუსტი. დრამატ. პოემა. ნათ. პ. მირიანიშვილისა. ტფ. 1909 წ. . . . . . 1 მ. 25 „
14. დუტუ-მეგრელი. წიგნი I ლექსები. ტფ. 1909 წ. . . . . . 70 „
15. ერისთავი გ. გაყრა, 4 მოქ. კომედია. გამოც. „სორაპნისა“. . 5 „
16. ვაჟაფშაველა. ცრემლები. 1909 წ. 50 „
17. ზღაპრები II, ქალთა წრის გამოცემა. . , ... 1 მ. 30 „
18. თუთაევი ალ. ქართული პიესები. ტფ. 1909 წ. . . . . . 20 „
19. იერეთელი პ დამარცხებულნი. დრამა 5 მ. ტფ. 1908 წ. . . 30 „
20. მისივე ქრისტინე, დრ. 5 მოქმ. ტფ. 1909 წ. . . . . . . 20 „
21. Избранныя стихотворенія А. Церетели, съ предисловіемъ А. Хаханова. Моск. 1908 г. . . . 20 „
22. მოლიერი. დრამატ. თხზულებანი. გამ. „სორაპნ-სა“. ტფ. 1909 წ. 50 „
23. ნიშად. კრებული. ტფ. 1909 წ. 15 „
24. ნავთლუღელი შ. შრომის დროს ამონაკვნესი. ლექსები. ტფ. 1908 წ. . . . . 3 „
25. ნინოშვილი ე. პალიასტომის ტბა. ტფ. 1909 წ. . . . . . 5 „
26. მისივე ჩვენი ქვეყნის რაინდი. ტფ. 1909 წ. . . . . . . 20 „
27. მისივე გოგია უიშვილი. ტფ. 1909 წ. . . . . 5 „

მეაბრეშუმეებს

◀ ლოჟიის ▶

ფირმისაგან აბრეშუმის თესლების დაკვების სეზონი ახლაა, რადგანაც ახლა მზადდება ფაბრიკაში თესლები, ამიტომ გაუწყებთ ჩემს თანამშრომლებს (და მას, ვისაც ამ თესლების გავრცელება სურს), რომ დაუყოვნებლივ შემოიტანოთ თავის რაიონისთვის საჭირო დაკვეთა, უამისოდ მე თესლებს არ გამოვიწერ.

ფარცხანაყანევის, ზემო-ქვიტარის, მაღლაკის, საჩინოს, ბაღდათის, სვირის, თერჯოლის, საჩხერის, ჩხარის, სენაკის, ნოლოლევის და სხვა საზოგადოებებში მსურს აგენტურის მოწყობა თუ შესაფერი კაცები, საიმედო პირობებში იკისრებენ საქმის წარმოებას.

პირობების გასაგებათ მიმართეთ შემდეგი ადრესით: იოსებ კაკაბაძეს, ქუთაისში.

ი. კაკაბაძე.
(6—6.—6)

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

„ნაკადული“

(წელიწადი მეექვსე)

1910 წლის პირველ იანვრიდან 1911 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელის მომწერლებს:

24 წიგნი მცირე წლოვანთათ. 12 წიგნი მოზრდილთათვის.

გარდა ამისა **მიეცემა პრემიად საბავშვო უნივერსიტეტი** (სამეცნიერო-პოპულიალური ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის). 1. «დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი»—ზღაპარი ევალდისა; 2. »მარჯნები».—ზღაპარი ევალდისა; 3. „თღრმეტი და“—ზღაპარი ევალდისა; 4. ქართული მხატვრული ასოები კუბიკებზე.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ორივე გამოცემა—სამი მანეთი; საზღვარ-გარედ: წლიურად—შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში „ნაკადულის“ რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში თავად-აზნაურთ ქარვასლაში).

მორიგი ექიმები და ფერშლები

მუხრანის საქალაქო საავადმყოფო, ტელეფონი **№ 39.**

ქალაქის საბჭოს სანიტარო ექიმები:

ადრესი:

1, 2 და 9 საპოლიციო ნაწილში	**ვ. პ. ფომინა ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთ. სახ. ტელეფ. **№ 461**).
3 და 4 საპოლიციო ნაწილში (იარმუკაში)	**ლ. ხ. ქალანთაროვი,** (მე-2 ნაწ. ბარიათინსკის ქ. **№ 6,** ტელეფონი **№ 517**).
5 და 6 ნაწილში	**ი. მ. ზაბლუდოვსკი,** (მე-2 ნაწ. გრიბოედოვის ქ. **№ 10,** ტელეფონი **№ 645**).
7 და 8 ნაწილში	**გ. თ. ნათიშვილი,** (მე-8 ნაწ. რიყის ქ. **№ 4,** ტელ. **№ 248**).
10, 11 და 12 ნაწილში	**ვ. ა. მირაქოვი,** (მიხეილის პრ. **№ 174,** ტელეფონი **№ 327**).

სასანიტარო მზრუნველები

1 საპ. ნაწ. **მ. კ. ბელოზერსკი,** (წყნეთის ქ. № 17).
მე-2 „ ნაწ. **რ. გ. ტერეგულოვი,** (სვიატ. მირსკის ქუჩა, № 17).
მე-3 „ ნაწ. **გ. ი. თამამშევი,** (პეტ. დიდის ქ. № 11).
მე 4 „ ნაწ, **ი. გ. მელიქ-ბახტამიანი,** (პუშკინის ქ. № 3).
ამის ამხანაგად **ვ. ა. იუზბაშევი,** (არქივის შესახვევი, № 12).
მე-5 „ ნაწ. **მირზა ჰუსენ ჰასან-ზადე,** (სურფ-სარქისის ქუჩა, № 19).
მე-6 „ ნაწ. **ა. ს. ღულაძე,** (გოლოვინის პრ., № 32).
მე-7 საპ. ნაწ. **დ. ა. შიხინოვი,** (ავლაბარ., ფერისცვალების ქ., № 20).
მე-8 „ ნაწ. **გ. ი. თოიძე,** (გონჩაროვის ქ., № 32).
მე-9 „ ნაწ. **გ. ა. ტერ-სტეფანოვი,** (კრასნოგორის ქ., № 16).
მე-10 „ ნაწ. **დ. ი. ემინოვი,** (მიხეილის ქ., № 142).
მე 11 „ ნაწ. **ს. ზ. ჟუონია,** (მიხეილის ქ., № 148).
მე-12 „ ნაწ. **გ. ვ. ჩარკვიანი,** ნაძალადევი, რემონტის ქ., საკუთარი სახლი.

ქალაქის საბჭოს უზნის ექიმები

(რომელნიც სწამლობენ)

1 და მე-2 საპოლიციო	ნაწილში	**გ. ა. გედალინი,** (მადათოვის ქუჩა, № 5. ტელეფონი 593).
მე-3 და მე-4 „	ნაწილში	**მ. ი. შავერდოვი,** (ფუნთხაინის აღმართი **№ 1,** ტელეფონი **№ 619**).
მე-5 „	ნაწილში	**ტ. მ. ტატევოსიანი,** (ველიამინოვის ქ., **№ 4,** ტელეფონი **№ 680**).
მე-6 და მე-7 „	ნაწილში	**შ. ა. მიქელაძე,** (კახეთის ქ., **№ 1,** ტელეფონი **№ 816**).
მე-8 და მე-9 „	ნაწილში	**ნ. დ. ხატისოვი,** სუდებნის ქ., **№ 17,** ტელეფონი **№ 709.**
მე-10, 11, მე-12 „	ნაწილში	**ი. გ. ტერ ნიკოღოსოვი,** (მიხეილის ქ., **№ 169,** ტელეფონი **№ 15**).

(6—6.—3)

ყველა ჩვენ აპპარატს აქვს ფაბრიკის საკუთარი მარკა

TRADE MARK

„მ წ ე რ ა ვ ი ა ნ გ ე ლ ო ს ი“

TRADE MARK

ააქც. საზოგადოება

გრამაფონი

ტფილისი, გოლოვინის პროსპ. 9, ტელეფ. № 69.

მოგვეპოვება შემდეგი მომღერალთა ფირფიტები



ადგილობრივი:

კავსაძე, კარგარეთელი, ტომაშევიჩი (ქართველი) გ. ბაგრატ, გ. ნიკოლი, კომიტას ვარდა პ. კავსაძე, მადჯიდ-ბიგბუტოვი, ჯაბარი, ვკორიაგ დიევ მაშადი მამედ ფარზალიევ, ამირჯან და ბევრი სხვა.

რუსული:

ფ. ი. შალიაპინი.
ლ. ვ. სობინოვი.
დ. ა. სმირნოვი.
ვ. პ. დამაევი.
ნ. ვ. გრიზუნოვი.
ლ. ვ. ნეჟდანოვი.
მ. ა. მიხაილოვი.
ნ ს. ერმოლენკო-იუჟინისა.
ვ. ნ. პეტროვ-ზვანცევი.
ე. ი. ზბრუევი და ბევრი სხვა.

ფირფიტები 65 კ. და უფრო ძვირი.

აპპარატები **35** მანეთიდან და უფრო მეტი.

Srusunau Sazett 2 Susertimo mor 1910, for R. 26.000.

საუკეთესო გასართობები აგარაკისთვის

АКЦ. ОБЩ. ГРАМАФОНЪ

(0—1)

კატალოგები მოითხოვეთ უფასოდ.

სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3

რედაქტორ-გამომცემელი დ. ხრამელაშვილისა,